

ხემცენარეთა გვარ *Celtis* -ის ქართული სამეცნიერო სახელების დაზუსტების აუცილებლობა

ავტორი ნანა ხოჭოლავა - მაჭავარიანი არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი (საქართველო), ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი თბილისი, პ. ინგოროყვას #8.

ელფოსტა: mzeshina@mail.com

ანოტაცია

მცენარეთა კონკრეტულ გვარებს, სახეობებს საკუთარი მკაფიო სამეცნიერო სახელი უნდა მოეპოვებოდეს. მეტი სიზუსტისათვის აუცილებელია შეიცვალოს ხემცენარეთა გვარ *Celtis*-ის დღეს მიღებული შემდეგი ქართული სამეცნიერო სახელები: აკაკი (მაცაშვილი 1961; საქ. ფლ. 1975), **ბრინჯის ხე** (ჩუბინაშვილი 1961).

მიზეზები: 1. აკაკი არის ხემცენარის **ნაყოფის** სახელი; 2. არაერთ ლექსიკონში აკაკი ორი სრულიად სხვადასხვა მცენარის სახელად დასტურდება, შდრ.: *Celtis caucasica* Willd. / *Celtis australis* L. (=აკაკი, **К а р к а с**) და *Artocarpus incise* L. (=პურის ხე, **х л е б н о е д е р е в о , х л е б н о е р а с т е н и е**) (ერისთავი 1884; ჩუბინაშვილი 1985); 3. აკაკი ადამიანის საკუთარი სახელიცაა, რაც ერთგვარ ბუნდოვანებას იწვევს; 4. რ. ერისთავის (1884) და დ. ჩუბინაშვილის (1985) ლექსიკონებში დენდრონიმი **ბრინჯის ხე** სხვა ხემცენარეს (*Artocarpus incise*) აღნიშნავს; 5. **ბრინჯის ხის** პირველი კომპონენტი სხვა მცენარის, **ბრინჯის** (*Oryza sativa*), ომონიმია.

პრობლემის გადაჭრისას საყურადღებო აღმოჩნდა ძველ ქართულში რიგი სინონიმებისა და ომონიმების დადასტურება, მათი ურთიერთკავშირის ახსნა. კერძოდ: ა) საბას „სიტყვის კონაში“ სახელი **ბრინჯი** სამ სხვადასხვა საგანს აღნიშნავს, ესენია: ლითონი, მარცვლოვანი მცენარე, ხემცენარე (შდრ.: „**ბრინჯი 1.** ბრინჯაო; **2.** (ბალ.) მარცვალი თეთრი; **3.** (ხე) აკაკის ხე“ (საბა 1991); ბ) ამავე ლექსიკონში **ბრინჯი** და **ბრინჯაო** სინონიმებია და აღნიშნავს ლითონს, რომელიც სპილენძისა და თუთიის შენადნობია (დღევანდელი „თითბერი“); გ) **ბრინჯი** („მარცვლეული“) და **ბრინჯი** („ლითონი“) ძველ ქართულში სხვადასხვა წარმომავლობისა და დროის ნასესხობები ჩანს; დ) ლითონის აღმნიშვნელი სახელი **ბრინჯაო** ქართულში გვიან დამკვიდრებული ფორმა უნდა იყოს მარცვლოვანი მცენარის (*Oryza sativa*) სახელთან ომონიმის დასაძლევად.

რაკი ძველ ქართულში სახელი **ბრინჯი** აღნიშნავდა მარცვლოვან კულტურასაც და ლითონსაც, ვვარაუდობთ, რომ დენდრონიმები **ხე ბრინჯისა** (მოქც., 2015), **ბრინჯი** (საბა), **ბრინჯის ხე** (ჩუბინაშვილი 1961) იგივე „**ბრინჯაოს ხეა**“, რომლის მოტივაცია, თავის მხრივ, უნდა

უკავშირდებოდეს ხემცენარის მერქნის გარკვეული ნიშან-თვისებების მსგავსებას ლითონ **ბრინჯაოს** („თითბერი“) ნიშან-თვისებებთან (**მერქნის სიმტკიცე და ფერი**).

ლინგვისტური ანალიზის, ბოტანიკური და ლექსიკოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით, ხემცენარეთა აღნიშნული გვარისათვის მკაფიო სამეცნიერო სახელის დასამკვიდრებლად უნდა განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები: აკაკი > 1. **აკაკის ხე *Celtis***; 2. ბრინჯი, ბრინჯის ხე > **ბრინჯაოს ხე *Celtis***.

საკვანძო სიტყვები: ქართული სამეცნიერო სახელი, აკაკი, ბრინჯი, აკაკის ხე, ბრინჯაოს ხე